ტექნიკური დავალება (ToR)

პროექტის სახელწოდება: ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედება (THC-BSB1130)
ექსპერტის დავალება: სასწავლო პროგრამის შემუშავება, ტრენინგის ჩატარება, სახელმძღვანელოს შემუშავება თემაზე "მეწარმეობა ტურიზმისა და კულტურის სექტორებში".
ვადები: 1 თებერვალი 2021 - 1 ოქტომბერი 2021
სამუშაო ადგილი: საქართველო
ანგარიშვალდებულება: პროექტის დირექტორთან

შესავალი: "ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა" ("Tourism, Heritage and Creativity" (THC)) არის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის (GACC), European Institute for Cultural Tourism EUREKA NPO (კულტურული ტურიზმის ევროპული ინსტიტუტი) და Foundation for the Development of the City of Mykolaiv (FDN) (ქალაქ მიკოლაევის განვითარების ფონდი) ერთობლივი პროექტი. პროექტის მიზანია ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის სექტორების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი საერთო განვითარების ხელშესაწყობის მიზნით. პროექტის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებები ემსახურება შემოქმედებითი ტურიზმის შემოთავაზებების და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული კულტურული პროდუქტების დახმარებით ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას. პროექტის განხორციელების პერიოდი 26.09.2020-დან 26.12.2022-მდეა. THC დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთობლივი სამოქმედო პროგრამის მხარდაჭერით. პროექტი მოიცავს სამ სხვადასხვა რეგიონს: სევეროიზტოჩენს ბულგარეთში, მიკოლაევს უკრაინაში და აღმოსავლეთ საქართველოს.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:
• კვლევები;
• შესაძლებლობების გაზრდა;
• ტურიზმისა და კულტურული პროდუქტებისა და ტრანსსასაზღვრო მარშრუტების შექმნა;
• ერთობლივი მარკეტინგისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.

დამატებით, მირზაანში ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში განხორციელდება მცირე ინვესტიცია. ჩამოყალიბდება ეთნოგრაფიული კუთხე და რეწვის სახელოსნო.

ადგილობრივი ტურიზმისა და კულტურის აქტორების შესაძლებლობების გაზრდით, პროექტი ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, სტარტაპების სტიმულირებას და ახალი მიდგომების დანერგვას.

მიზანი: THC– ის სპეციფიკური მიზანი არის ადგილობრივი ტურიზმისა და კულტურის წარმომადგენლების შესაძლებლობების განვითარება ისე, რომ შედეგად მოხდეს ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის სექტორების ერთმანეთთან დაკავშირება და მათ მონაწილეობა მიიღონ წარმატებული ტრანსსასაზღვრო ბიზნეს თანამშრომლობაში. THC ასევე ითვალისწინებს სახელმძღვანელოების შექმნას თვითგანათლებისთვის, ან დამხმარე მასალად გამოსაყენებლად პროფესიული განათლებისა და არაფორმალური განათლების მიმწოდებლებისთვის. შესაძლებლობების გაზრდის კომპონენტი აერთიანებს სხვადასხვაგვარ მეთოდებს: სასწავლო პროგრამების მომზადებას, ტრენინგების და შეხვედრების გამართვას, სახელმძღვანელოების ბეჭდვას, ასევე ქმნის ონლაინ რესურსებს მოქმედების მასშტაბის გასაზრდელად.

სამუშაოს ორგანიზება

1 - სასწავლო პროგრამის შემუშავება - 2021 წლის თებერვალი
ადგილობრივი ექსპერტი / ექსპერტთა ჯგუფი ჩაატარებს არსებული სასწავლო პროგრამებისა და ძირითადი თემების სამაგიდო კვლევას და შეიმუშავებს სასწავლო პროგრამას "მეწარმეობა ტურიზმისა და კულტურის სექტორებში".

2 - ტრენინგები ტურიზმისა და აქტორებისათვის - 2021 წლის აპრილი - 2021 წლის აგვისტო
ადგილობრივი ექსპერტი / ექსპერტთა ჯგუფი, შემუშავებული პროგრამის საფუძველზე 3-დღიან ტრენინგს ჩაატარებს.
ტრენინგი ჩატარდება 2 სერიად: პირველი სერია 2021 წლის აპრილ-მაისში და მეორე სერია 2021 წლის ივნის-აგვისტოში.
ტრენინგის ფორმატი დამოკიდებულია COVID-19- ის გავრცელებასთან ბრძოლის ადგილობრივ რეგულაციებზე და ჩატარდება ან ინტერნეტით ან ტრენინგ სივრცეში.

3 - სახელმძღვანელოს შემუშავება - 2021 წლის მარტი - 2021 წლის ოქტომბერი
ადგილობრივი ექსპერტი / ექსპერტთა ჯგუფი ჩატარებული ტრენინგების საფუძველზე შეიმუშავებს სახელმძღვანელოს.
პირველ ეტაპზე ადგილობრივი ექსპერტი/ ექსპერტთა ჯგუფი შეიმუშავებს სახელმძღვანელოს სტრუქტურას, რომელიც შეთანხმდება ყველა პარტნიორთან.
შეთანხმებული სტრუქტურის საფუძველზე, ადგილობრივი ექსპერტი / ექსპერტთა ჯგუფი მოამზადებს ტექსტს სახელმძღვანელოსთვის.

მიწოდებას ექვემდებარება:

- სასწავლო პროგრამა;
- ტრენინგის მასალა;
- ტრენინგის მონაწილეთა სიები;
- ფოტო დოკუმენტაცია;
- სახელმძღვანელოს პროექტი - სარჩევი;

- სახელმძღვანელოს პროექტი - ტექსტი.

ანგარიშგება / კოორდინაცია:

- საქმიანობის კოორდინაცია THC პროექტის გუნდთან
- სამუშაო პროგრესის კომუნიკაცია და კონსულტაციები ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით (ელ.ფოსტა, ტელეფონი, ვირტუალური შეხვედრები)

წარმოსადგენი საბუთები:

- ექსპერტ (ებ) ის CV;
- ინფორმაცია და გამოცდილება ბოლო 3 წლის განმავლობაში, მათ შორის ჩატარებული წინა კურსების პროფილი;
- სავარაუდო ბიუჯეტი ერთეულზე დანახარჯების განაწილებით;
- სხვა შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც შეავსებს ზემოაღნიშნულ განცხადებას ხარისხისა და კომპეტენციის თვალსაზრისით.

შერჩეულ ექსპერტთან/ესქპერტთა ჯგუფთან საბოლოო ხელშეკრულება გაფორმებული იქნება შერჩევიდან 15 დღეში.